ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს

მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2026 წლის 14 მაისს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დაიწყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი და განისაზღვრა რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. 2026 წლის 20 მაისს კი დამტკიცდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესაბამისად გათვალისწინებულია რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მერიის განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება.

რეორგანიზაციის პროცესში განსახორციელებელი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების ასახვის მიზნით, მომზადებულია საშტატო ნუსხის ახალი რედაქცია, რომელიც მიზნად ისახავს მერიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას, ფუნქციების ეფექტიან გადანაწილებას, მართვის სისტემის გაუმჯობესებას, საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდასა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. რეორგანიზაცია შეეხო მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ადმინისტრაციულ სამსახურს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურსა და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს. ამასთან, უქმდება ზედამხედველობის სამსახური.

რეორგანიზაციის პროცესში განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, მერიის საშტატო რიცხოვნობა 81 საშტატო ერთეულიდან მცირდება 70 საშტატო ერთეულამდე, შესაბამისად, მცირდება 11 საშტატო ერთეული. არ იცვლება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხვი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თანამდებობრივი სარგოების ყოველთვიური ფონდი განისაზღვრა 257 800 ლარით.

საშტატო ნუსხის ახალი რედაქციის დამტკიცება განაპირობებს მერიის დებულებასა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი შესაბამისობა მერიის განახლებულ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ფუნქციურ მოწყობასთან.

რეორგანიზაციის პროცესში განსახორციელებელი სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები, მათ შორის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების გადანაწილება და საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, ასახულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და მერიის დებულების ახალ რედაქციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ერთდროულად წარმოდგენილია შემდეგი დადგენილების პროექტები:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე);

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე).

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის მერი: **მინდია ჟღერია**